ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი №12

დ. ჩოხატაური *2 ოქტომბერი 2015 წელი*

სხდომის თავმჯდომარე - ზაალ მამალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები:

ვლადიმერ სიხარულიძე, ქეთევან სიხარულიძე, გოჩა სეხნიაშვილი, აკაკი ყაჭეიშვილი, დავით ტყეშელიაძე, ლაშა თოლორდავა, გოჩა ჯიქია,გიორგი რამიშვილი, რამაზ უჯმაჯურიძე, ოთარ სოროზანიშვილი, ერეკლე უღრელიძე, თემურ ხუხუნაიშვილი, უშანგი ართმელაძე, დათო ვაჩეიშვილი, ალეკო კვინტრაძე, მალხაზ ჩხიკვაძე,დავით გუდავაძე, დავით ტრაპაიძე, მარინე ბერაძე, დავით შარაშიძე, მაია პაიჭაძე, ირაკლი ახობაძე, მანანა მინდაძე, მამია ბარამიძე, დიმიტრი კორიფაძე,მამია ბარამიძე (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა), გოდერძი გოგიშვილი, არჩილ სიხარულიძე, კლოდი მდინარაძე.

არ ესწრებოდნენ: ალექსანდრე შარაშიძე, გოჩა თოდრია,კობა კალანდაძე, მაია გიორგაძე, გია გვენეტაძე,ზვიად მამალაძე, შალვა ჩანტლაძე, რომან ჯულაყიძე.

მოწვეული მუნიციპალიტეტის გამგეობიდან:

თეა უჯმაჯურიძე- გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.

ვლადიმერ ლომთათიძე- გამგეობის ქონების მართვისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი.

სხდომას ესწრებოდა:

შ.პ.ს-ს საპროექტოს დირექტორი- **ზურაბ ბერძენიშვილი**

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირებით:

1.,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის N37 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 აგვისტოს N34 დადგენილებით

დამტკიცებული „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ” 2011 წლის 11 იანვარის N14 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

5. ,,ადგილობრივი გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერკეთის საჯარო სკოლისათვის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ერკეთში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობისა და მასზე დამაგრებული 399.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მდანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.12.21.121) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის მიცემის თაობაზე“.

7. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად გამარტივებული (გადაუდებელი აუცილებლობა) შესყიდვის განხორციელების თაობაზე საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ.

8. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2015 წლის დამატებითი საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

9. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-4 კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 30

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 30 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1.,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის N37 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მომხსენებელი:თეა უჯმაჯურიძე

2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 აგვისტოს N34 დადგენილებით დამტკიცებული „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი:მარინე ბერაძე

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ” 2011 წლის 11 იანვარის N14 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

5. ,,ადგილობრივი გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერკეთის საჯარო სკოლისათვის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ერკეთში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობისა და მასზე დამაგრებული 399.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.12.21.121) უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის მიცემის თაობაზე“.

მომხსენებელი: მალხაზ ჩხიკვაძე

7. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად გამარტივებული (გადაუდებელი აუცილებლობა) შესყიდვის განხორციელების თაობაზე საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: მალხაზ ჩხიკვაძე

8. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2015 წლის დამატებითი საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ვლადიმერ ლომთათიძე

9. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-4 კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

I საკითხი: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ"- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის N37 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მოისმინეს:

1. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ"- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის N37 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

აზრი გამოთქვა: მარინე ბერაძემ, მალხაზ ჩხიკვაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 30

წინააღმდეგი _0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი)

მიღებულია დადგენილება: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის N37 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

II საკითხი: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 აგვისტოს N34 დადგენილებით დამტკიცებული „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მოისმინეს:

2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 აგვისტოს N34 დადგენილებით დამტკიცებული „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი:მარინე ბერაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u>

ერეკლე უღრელიძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრების უფლებამოსილების თანხა საცხოვრებელი ადგილის შესაბამისად, ჩემი აზრით, უნდა იყოს განსხვავებული.

ირაკლი ახობაძემ შენიშნა, რომ საკრებულოს და კომისიების სხდომების გაცდენისათვის, შესაბამისად 20 და 10 ლარის დაკავება , საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯებიდან, რეგლამენტში არ უნდა იქნას შეტანილი. ვფიორობ, იგი უნდა რეგულირდებოდეს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.

მამია ბარამიძემ (ენმ) აღნიშნა, რომ საკრებულოს კომისიის სხდომების გაცდენისათვის თანხის დაკავების წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ თუ გაცდენა საპატიო მიზეზით ხდება, ის აუცილებლად რაღაც ფორმით უნდა რეგულირდებოდეს.

საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თუ იქნება დასაბუთებული და სამართლებრივად არგუმენტირებული თქვენი მოთხოვნა, მზად ვართ განვიხილოთ იგი.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 29

წინააღმდეგი _ 1

(ე. უღრელიძე)

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი)

მიღებულია დადგენილება: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 აგვისტოს N34 დადგენილებით დამტკიცებული „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

III საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ” 2011 წლის 11 იანვარის N14 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მოისმინეს:

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ” 2011 წლის 11 იანვარის N14 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> ვლადიმერ სიხარულიძემ, მაია პაიჭაძემ, მამია ბარამიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 30

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი)

მიღებულია დადგენილება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ” 2011 წლის 11 იანვარის N14 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

IV საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მოისმინეს:

4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

აზრი გამოთქვა: ირაკლი ახობაძემ, ქეთევან სიხარულიძემ, დიმიტრი კორიფაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 30

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

V საკითხი: ,,ადგილობრივი გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ"- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მოისმინეს:

5. ,,ადგილობრივი გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ"- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

აზრი გამოთქვა: გოჩა ჯიქიამ, აკაკი ყაჭეიშვილმა, ალეკო კვინტრაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 30

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ,,ადგილობრივი გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

VI საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერკეთის საჯარო სკოლისათვის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ერკეთში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობისა და მასზე დამაგრებული 399.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.12.21.121) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის მიცემის თაობაზე“.

მოისმინეს:

6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერკეთის საჯარო სკოლისათვის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ერკეთში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობისა და მასზე დამაგრებული 399.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.12.21.121) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის მიცემის თაობაზე“.

მომხსენებელი: მალხაზ ჩხიკვაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> დავით შარაშიძემ, დავით ტყეშელიაძემ, მამია ბარამიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 30

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერკეთის საჯარო სკოლისათვის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ერკეთში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობისა და მასზე დამაგრებული 399.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.12.21.121) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით

სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის მიცემის თაობაზე“.

VII საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად გამარტივებული (გადაუდებელი აუცილებლობა) შესყიდვის განხორციელების თაობაზე საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ.

მოისმინეს:

7. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად გამარტივებული (გადაუდებელი აუცილებლობა) შესყიდვის განხორციელების თაობაზე საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: მალხაზ ჩხიკვაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u>

ირაკლი ახობაძემ აღნიშნა, რომ სოფელ კოხნარის საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოებისათვის 20 ათასი ლარის გამოყოფაზე თანხმობის მიცემით განხორციელდა ცვლილება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, ვფიქრობ, საკრებულოს წევრებს გვაქვს უფლება ვიცოდეთ რა ცვლილება მოხდა ბიუჯეტში და საიდან?

გაკეთდა ხარჯთაღრიცხვაში კორექტირება (27 აგვისტო, 2015 წელი, შეთანხმება № 116-ხელშეკრულების დანართი), რომლის საფუძველზეც საბავშვო ბაღის სეპტიკის სალექარის მოწყობის საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენდა 564, 63 ლარს, ხოლო სატენდერო ვებ.გვერდზე ატვირთულია ინფორმაცია, სადაც იგივე სამუშაოს სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 5510 ლარია. მაინტერესებს, ერთი და იგივე სამუშაოთა შესასრულებლად სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაში რამ გამოიწვია აღნიშნული სხვაობა; ვინ გააკეთა ხარჯთაღრიცხვა, რომელზეც არის შპს ,,იმერეთის“ ბეჭედი?

მაია პაიჭაძემ აღნიშნა, რომ ეს ისეთი თემაა, რომელიც ეხება საბავშვო ბაღს და რომელსაც აუცილებლად ჭირდება ჩვენი მხარდაჭერა, უსაფრთხოებასთან დაკავშირებით დიდი ყურადღების გამოჩენა გვმართებს. დაიხარჯა 40 000 ლარი ბიუჯეტიდან და არ დარჩა საკმარისი იმისთვის, რომ ბაღმა იფუნქციონიროს. უკეთესი ხომ არ იყო თავიდანვე ყოფილიყო შემოწმებული შენობის მდგრადობის ფონი და თუ ამდენი თანხა უნდა გაცემულიყო ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ხომ არ აჯობებდა ახალი ბაღი აგვეშენებინა?

მალხაზ ჩხიკვაძემ დასვა შეკითხვა: ბიუჯეტიდან გამოყოფილი 20 000 ლარით დასრულდებოდა თუ არა კოხნარის საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოები.

ზურაბ ბერძენიშვილიმა უპასუხა დასმულ შეკითხვებს და აღნიშნა, რომ კოხნარის საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოებისათვის თანხები წინასწარ იყო განსაზღვრული. კომისიის მიერ შესრულებული სამუშაოების შემოწმების შემდეგ, პერიოდულად ხდებოდა მასში ცვლილება-კორექტირება, მასზე შესაბამისი დოკუმენტაციაც არსებობს.ცვლილება ყველაზე მეტად , ობიექტური მიზეზების გამო, სწორედ რომ კოხნარის საბავშვო ბაღს შეეხო.

სამუშაოების შესრულების შემდეგ, კედლებზე ბზარების გაჩენის გამო მოწვეული იქნა გეოლოგები, მათი დასკვნის საფუძველზე ახალმა სამუშაოებმა მოითხოვა დამატებითი თანხების გამოყოფის აუცილებლობა.

ვლადიმერ სიხარულიძემ მხარი დაუჭირა კოხნარის საბავშვო ბაღისათვის დამატებითი თანხების გამოყოფისათვის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის საკითხს და დასძინა, რომ თუ მომავალში კვლავ მოითხოვენ გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით თანხების დამატებით გამოყოფას, საკრებულოსგან თანხმობას ვერ მიიღებენ.

მიღებულია განკარგულება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად გამარტივებული (გადაუდებელი აუცილებლობა) შესყიდვის განხორციელების თაობაზე საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ.

VIII საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2015 წლის დამატებითი საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს:

8. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2015 წლის დამატებითი საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ვლადიმერ ლომთათიძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> დავით შარაშიძემ, გოჩა ჯიქიამ, მარინე ბერაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 29

წინააღმდეგი _1

(დ. შარაშიძე- დოკუმენტის არასრულად წარმოდგენისთვის)

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2015 წლის დამატებითი საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

IX საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-4 კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების თაობაზე.

მოისმინეს:

9. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-4 კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> ქეთევან სიხარულიძემ, მაია პაიჭაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 30

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-4 კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების თაობაზე.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ განცხადება გააკეთა სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ დავით შარაშიძემ და აღნიშნა, რომ ნებისმიერი საქმის გაკეთება უნდა მოხდეს კანონთან შესაბამისობაში. ხშირად ვიმეორებ, რომ პროექტები არ არის სწორად შედგენილი. ვსვამ კითხვას და ვერავინ მცემს პასუხს თუ რატომ ვღებულობთ ასეთ უხარისხო პროექტებს.

წყლის ხარისხის შესწავლის მიზნით შექმნილმა კომისიამ, რომელიც ამ საკითხზე მუშაობდა, მიწერა წერილი მაკონტროლებელს, ადგილობრივებს, შესაბამის ორგანიზაციებს და მათგან მიღებული ცნობებით დავრწმუნდით, რომ წყალი არის სუფთა და სასმელად ვარგისიც, რომელსაც მივესალმებით.

დავათვალიერე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღები, უმეტეს საბავშვო ბაღში არის ავარიული მდგომარეობა. შესრულებულ სამუშაოთა ფონზე, ბაღის კიბის

საფეხურები დაზიანებულია, შენობები ცუდათაა დაპროექტებული. სამზარეულოდან გავდივართ საპირფარეშოში, შემდეგ ვბრუნდებით უკან და გავდივართ საძინებელ ოთახში. სამების საბავშვო ბაღის იატაკი არის ღარებიანი მასალით დაგებული, რაც ჭერისთვისაა გამოსაყენებელი. ამ საკითხს დავსვამ საკრებულოს სხდომაზეც და მაქვს თქვენი მხარდაჭერის იმედიც და თუ ასე არ მოხდება, მაშინ მივმართავ შესაბამის ორგანოს. მოვითხოვე, რომ მიღება- ჩაბარების კომისიაში ყოფილიყო წარმომადგენელი იმ ბაღების გაერთიანებიდან, რომელმაც ყველაზე უკეთ იცის საბავშვო ბაღებში რა პრობლემებიცაა, მაგრამ არ გაითვალისწინეს ჩემი თხოვნა. სამწუხაროდ, ხდება უხარისხო პროექტების კეთება და იხარჯება საკმაოდ დიდი თანხა ბიუჯეტიდან.

ჩემი აზრით, დამპროექტებლებს აუცილებლად უნდა მოვთხოვოთ შესაბამისი პასუხი და მივიღოთ შესაბამისი ზომებიც.

აღნიშნულთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, საკრებულოს სხდომაზე განსახილველად შემდგომი რეაგირებისთვის მოვამზადებთ სამართლებრივი აქტის პროექტს. მეიმედება მხარდაჭერის.

ფრაქცია ,,პატრიოტთა ალიანსის“ თავმჯდომარემ ირაკლი ახობაძემ მშენებარე კულტურის სახლთან მიმართებაში გააკეთა შემდეგი განცხადება:

ძველი პროექტით კულტურის სახლის მშენებლობა ჯდებოდა 4 მილიონი ლარი, შენობის ფართი იყო 6472, 9 მ^2. 1 კვ.მ-ის მშენებლობა საშუალოდ ღირდა 617 ლარი, ხოლო ახალი პროექტის შემთხვევაში მშენებლობა ჯდებოდა 2,5 მილიონი, შენობის ფართია 2225 მ^2, 1მ^2-ის მშენებლობა ჯდება 1119 ლარი. მშენებლობის ზომებში შემცირების გამო რატომაა გაძვირებული 1მ^2 მშენებლობის ღირებულება?

ვითხოვ, სპეციალისტებმა გამცეს ამ კითხვაზე პასუხი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ზაალ მამალაძე